სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	საჯარო მმართველობა/Public Administration
პროგრამის ხელმძღვანელი	ლიანა გიორგაძე, გიორგი გორაძე
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის მაგისტრი/Master of Public Administration
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	14.02.2020 №03-20
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	11.02.2024 №01-24

პროგრამის მიზანი

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს შესძინოს მულტიდისციპლინური, ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო მმართველობის, მისი საკონსტიტუციური საფუძვლების, საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტების, საჯარო ფინანსების მართვის, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის, საჯარო მმართველობის ძირითად ღირებულებებისა და პრინციპების, ასევე ეთიკური სტანდარტის შესახებ;

- სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საქართველოს სახელმწიფო მოწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის, ასევე ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები შესახებ, ჩამოუყალიბოს ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რითაც ისინი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში;
- ჩამოაყალიბოს მაღალი ეთიკური ღირებულებებისა და სტანდარტების მქონე პროფესიონალი და კეთილსინდისიერი საჯარო მმართველები და მოსამსახურეები, რომელთაც შეეძლებათ ხელი შეუწყონ საჯარო მმართველობის სისტემის ეფექტურ მუშაობას, მონაწილეობა მიიღონ მის მდგრად განვითარებში;
- სტუდენტს შესძინოს საჯარო მამრთველობის პრობლემებზე სიღრმისეული ანალიზის და აკადემიური წერისა და სოციალური კვლევის ტექნიკის საშუალებით, შეძლოს საჯარო მმართველობის საკითხებზე აკადემიური კვლევის დაგეგმვა და განხორციელება.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

(A) სიღრმისეულად აცნობიერებს დემოკრატიულ და სოციალურ-სამართლებრივ სახელმწიფოში საჯარო მმართველობის ფუნქციებს, საჯარო მმართველობის საკონსტიტუციო საფუძვლებს და მისი განხორციელების სამართლებრივ ინსტრუმენტებს, საჯარო მმართველობის სფეროში გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცესს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, პრინციპებს და საჯარო ორგანოს საქმიანობის ძირითად ფორმებს, საჯარო ფინანსების მართვის მექანიზმებს, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის თანამედროვე მოდელებს, კრიტიკულად იაზრებს საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის სფეროში არსებულ კომპლექსურ პრობლემებს;

(B) ფლობს სისტემურ ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ძირითადი ასპექტების, საქართველოს სახელმწიფო ორგანოების საკონსტიტუციო სტატუსისა და უფლება-მოვალეობების, ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურის, ფუნქციებისა და მისი ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართების, საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ძირითადი ასპექტებისა და აქტუალური პრობლემების შესახებ;

უნარი

კურსდამთავრებული:

(C) კომპლექსურად აფასებს საჯარო მმართველობის პრობლემური საკითხებს და განსაზღვრავს მათი გადაწყვეტის ოპტიმალურ გზებს, გამოავლენს საჯარო სამსახურში არაეთიკურ ქმედებებს, ახდენს არაეთიკური ქმედებების განმახორციელებელი პირების იდენტიფიცირებას და იცავს საჯარო სამსახურის ინტერესებს ეთიკური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;

(D) აანალიზებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის პროცესსა და მის თანმდევ შედეგებს, სწორად განსაზღვრავს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის დანიშნულებას უკეთესი საჯარო მმართველობის სისტემის უზრუნველსაყოფად;

(E) ადგენს სხვადასხვა ადმინისტრაციულ აქტს, გეგმავს და მონაწილეობას იღებს საჯარო მმართველობის სფეროში კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად კანონმდებლობით განსაზღვრულ წარმოებაში, მსჯელობს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და წარმოადგენს საკუთარ დასაბუთებულ დასკვნებსა და არგუმენტებს, ასევე, აკადემიური

წერის ტექნიკის საშუალებით საჯარო მმართველობის სფეროში დამოუკიდებლად გეგმავს და ასრულებს კვლევას;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

(F) იყენებს მიღებულ ცოდნას ყოველდღიურ პროცესებში და დამოუკიდებლად იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს საჯარო სამსახურში, საჯარო სამსახურის ღირებულებების, პრინციპებისა და ეთიკის ზოგადი წესების დაცვით;

(G) საკუთარი პროფესიული ცოდნის გამოყენებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საჯარო მმართველობის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებასა და მის სამომავლო განვითარებაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის B2 დონის ფარგლებში. შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების და გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (http://www.sabauni.edu.ge).

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ან სრული ერთი სემესტრი მაინც. კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სხვა სერთიფიკატს კერძოდ: FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 65-78

შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერთიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება ☐ სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები	
შეფასების ფორმები და კომპონენტები	**მაქსიმალური ქულა**
შუალედური შეფასება, მათ შორის:	**70 ქულა**
წერითი/ზეპირი გამოკითხვა	30
შუალედური წერითი/ზეპირი გამოცდა	30
ინდივიდუალური საშინაო დავალება/პრეზენტაცია	10
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	**100 ქულა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში - სამინისტროში, სსიპში, სსდ-ში, სხვა სამთავრობო ორგანიზაციაში, ნებისმიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, როგორც მაღალი, ისე საშუალო და დაბალი რანგის ნებისმიერი პოზიციაზე/თანამდებობაზე, ასევე, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში, არასამათავრობო ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობა რაიმე სახით დაკავშირებულია საჯარო მმართველობის კვლევასა და განვითარებასთან.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში) საჯარო მმართველობის ან სხვა სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმინი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდი-ნარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკით და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა -უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline, ELSEVIER: Scopus, Science Direct, Scival Funding (Funding Institutional)). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის მიზნით, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი, პრაქტიკული კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის დასრულებისთვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, რაც ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო კომპონენტი 78 კრედიტი - 57 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო და 21 კრედიტი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, პრაქტიკული კომპონენტი - 12 კრედიტი, სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, თითოეულ მოდულში პროგრამით გათვალისწინებული დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობის დაცვის გარეშე. აღნიშნული წესი ასევე ვრცელდება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარებისას.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს აქვს უფლება, აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების გარდა, არჩევით კომპონენტად დაირეგისტრიროს მენეჯმენტის კვალიფიკაციის შესახებ, ნებისმიერი სასწავლო კურსი უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი			
			სემესტრი				საკონტაქტო სათები	დამოუკიდ. დებელი სათები
			I	II	III	IV		
სასწავლო კომპონენტი								
სავალდებულო სასწავლო კურსები								
1.	წინაპირობის გარეშე	საჯარო მმართველობა და სამოხელეო სამართალი	6/150				43	107
2.	წინაპირობის გარეშე	საქართველოს სახელმწიფო მოწყობა	6/150				43	107
3.	წინაპირობის გარეშე	ადმინისტრაციული წარმოება	6/150				42	108
4.	საქართველოს სახელმწიფო მოწყობა	ადგილობრივი თვითმმართველობა		6/150			43	107
5.	წინაპირობის გარეშე	აკადემიური წერა		3/75			26	49

6.	საჯარო მმართველობა და სამოხელეო სამართალი	ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში		3/75			18	57
7.	წინაპირობის გარეშე	კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში			3/75		27	48
8.	საჯარო მმართველობა და სამოხელეო სამართალი	საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები			3/75		20	55
9.	ეკონომიქსი	საჯარო ფინანსების მართვა		6/150			43	107
10.	წინაპირობის გარეშე	საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		3/75			17	58
11.	წინაპირობის გარეშე	სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა	6/150				44	106
12.	წინაპირობის გარეშე	ეკონომიქსი	6/150				31	119
არჩევითი სასწავლო კურსები								
13.	წინაპირობის გარეშე	ელექტრონული მმართველობა	6/150	6/150	6/150		43	107

14.	წინაპირობის გარეშე	ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ევროინტეგრაცია			6/150		42	108
15.	წინაპირობის გარეშე	საჯარო მმართველობის კონტროლის მექანიზმები	3/75	3/75	3/75		19	56
16.	წინაპირობის გარეშე	ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურში	6/150	6/150	6/150		43	107
17.	წინაპირობის გარეშე	საზოგადოებასთან ურთიერთობა	3/75	3/75	3/75		19	56
18.	წინაპირობის გარეშე	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი	6/150	6/150	6/150		43	107
19.	წინაპირობის გარეშე	საჯარო და კერძო თანამშრომლობა	3/75	3/75	3/75		19	56
20.	წინაპირობის გარეშე	პროექტმენეჯმენტი	6/150	6/150	6/150		33	117
21.	წინაპირობის გარეშე	დასაქმების პოლიტიკა და შრომის ბაზარი	6/150	6/150	6/150		31	119
22.	წინაპირობის გარეშე	რეგულირების ზეგავლენის შეფასება	3/75	3/75	3/75		20	55
23.	წინაპირობის გარეშე	გადასახადები და მოსაკრებლები	3/75	3/75	3/75		19	56
24.	წინაპირობის გარეშე	სახელმწიფო შესყიდვების სამართალი	3/75	3/75	3/75		27	48

25.	წინაპირობის გარეშე	ლიცენზიები და ნებართვები	3/75	3/75	3/75		19	56
26.	წინაპირობის გარეშე	სტატისტიკა საჯარო სამსახურში	6/150	6/150	6/150		43	107
27.	წინაპირობის გარეშე	მდგრადი განვითარება: მიზნები და გამოწვევები	3/75	3/75	3/75		19	56
28.	წინაპირობის გარეშე	გარემოსდაცვითი მენეჯმენტი	3/75	3/75	3/75		19	56
29.	წინაპირობის გარეშე	ევრო-ატლანტიკური ორგანიზაციები	3/75	3/75	3/75		19	56
30.	წინაპირობის გარეშე	საჯარო მმართველობა და ქვეყნის ანტიკორუფციული პოლიტიკა	3/75	3/75	3/75		18	57
31.	წინაპირობის გარეშე	შედარებითი საჯარო მმართველობა	6/150	6/150	6/150		43	107
32.	წინაპირობის გარეშე	პრივატიზების სამართალი	3/75	3/75	3/75		20	55
33.	წინაპირობის გარეშე	ეკონომიკური პოლიტიკა	3/75	3/75	3/75		19	56
34.	საქართველოს სახელმწიფო მოწყობა	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანიზება	3/75	3/75	3/75		18	57
35.	წინაპირობის გარეშე	სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა,	6/150	6/150	6/150		43	107

		ტერიტორიული კონფლიქტები და საქართველო						
36.	წინაპირობის გარეშე	ეკლესია და სახელმწიფო	6/150	6/150	6/150		30	120
პრაქტიკული კომპონენტი								
37.	საჯარო მმართველობა და სამოხელეო სამართალი; ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში; საჯარო ფინანსების მართვა; საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა;	პრაქტიკული კლინიკა			12/300		193	107
38.	საჯარო მმართველობა და სამოხელეო სამართალი; ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში; საჯარო ფინანსების	საჯარო მმართველობის პრაქტიკა			12/300		193	107

	მართვა; საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა;							
კვლევითი კომპონენტი								
39.	აკადემიური წერა; კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში	სამაგისტრო ნაშრომი				30/750	13	737

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები
პროგრამის მიზანია: სტუდენტს შესძინოს მულტიდისციპლინური, ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო მმართველობის, მისი საკონსტიტუციური საფუძვლების, საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტების, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საჯარო მმართველობის ძირითად ღირებულებებისა და პრინციპების, ასევე ეთიკური სტანდარტის შესახებ;	**(A)კურსდამთავრებული:** სიღრმისეულად აცნობიერებს დემოკრატიულ და სოციალურ-სამართლებრივ სახელმწიფოში საჯარო მმართველობის ფუნქციებს, საჯარო მმართველობის საკონსტიტუციო საფუძვლებს და მისი განხორციელების სამართლებრივ ინსტრუმენტებს, საჯარო მმართველობის სფეროში გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცესს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, პრინციპებს და საჯარო ორგანოს საქმიანობის ძირითად ფორმებს, საჯარო ფინანსების მართვის მექანიზმებს, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის თანამედროვე მოდელებს, კრიტიკულად იაზრებს საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის სფეროში არსებულ კომპლექსურ პრობლემებს; **(F) კურსდამთავრებული:** იყენებს მიღებულ ცოდნას ყოველდღიურ პროცესებში და დამოუკიდებლად იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს საჯარო სამსახურში, საჯარო სამსახურის ღირებულებების, პრინციპებისა და ეთიკის ზოგადი წესების დაცვით;
პროგრამის მიზანია: სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საქართველოს სახელმწიფო მოწყობის, ივი თვითმმართველობა ბრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის, ასევე ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები შესახებ, ჩამოუყალიბოს ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რითაც ისინი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში;	**(B) კურსდამთავრებული:** ფლობს სისტემურ ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ძირითადი ასპექტების, საქართველოს სახელმწიფო ორგანოების საკონსტიტუციო სტატუსისა და უფლება-მოვალეობების, ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურის, ფუნქციებისა და მისი ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართების, საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ძირითადი ასპექტებისა და აქტუალური პრობლემების შესახებ; **(D) კურსდამთავრებული:** აანალიზებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის პროცესსა და მის თანმდევ შედეგებს, სწორად განსაზღვრავს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის

	დანიშნულებას უკეთესი საჯარო მმართველობის სისტემის უზრუნველსაყოფად;
პროგრამის მიზანია: ჩამოაყალიბოს მაღალი ეთიკური ღირებულებებისა და სტანდარტების მქონე პროფესიონალი და კეთილსინდისიერი საჯარო მმართველები და მოსამსახურეები, რომელთაც შეეძლებათ ხელი შეუწყონ საჯარო მმართველობის სისტემის ეფექტურ მუშაობას, მონაწილეობა მიიღონ მის მდგრად განვითარებში;	(C) **კურსდამთავრებული:** კომპლექსურად აფასებს საჯარო მმართველობის პრობლემური საკითხებს და განსაზღვრავს მათი გადაწყვეტის ოპტიმალურ გზებს, გამოავლენს საჯარო სამსახურში არაეთიკურ ქმედებებს, ახდენს არაეთიკური ქმედებების განმახორციელებელი პირების იდენტიფიცირებას და იცავს საჯარო სამსახურის ინტერესებს ეთიკური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; (G) **კურსდამთავრებულს:** საკუთარი პროფესიული ცოდნის გამოყენებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საჯარო მმართველობის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებასა და მის სამომავლო განვითარებაში.
პროგრამის მიზანია: სტუდენტს შესძინოს საჯარო მამრთველობის პრობლემებზე სიღრმისეული ანალიზის და აკადემიური წერისა და სოციალური კვლევის ტექნიკის საშუალებით, შეძლოს საჯარო მმართველობის საკითხებზე აკადემიური კვლევის დაგეგმვა და განხორციელება.	(E) **კურსდამთავრებული:** ადგენს სხვადასხვა ადმინისტრაციულ აქტს, გეგმავს და მონაწილეობას იღებს საჯარო მმართველობის სფეროში კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად კანონმდებლობით განსაზღვრულ წარმოებაში, მსჯელობს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და წარმოადგენს საკუთარ დასაბუთებულ დასკვნებსა და არგუმენტებს, ასევე, აკადემიური წერის ტექნიკის საშუალებით საჯარო მმართველობის სფეროში დამოუკიდებლად გეგმავს და ასრულებს კვლევას;

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კურსის სტატუსი	პროგრამის სწავლის შედეგები						
			(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)
1.	საჯარო მმართველობა და სამოხელეო სამართალი	D	+					+	+
2.	საქართველოს სახელმწიფო მოწყობა	D		+				+	
3.	ადმინისტრაციული წარმოება	D	+				+	+	
4.	ადგილობრივი თვითმმართველობა	D	+	+				+	
5.	აკადემიური წერა	D					+		
6.	ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში	D			+			+	
7.	კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში	D					+		
8.	საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები	D			+			+	
9.	საჯარო ფინანსების მართვა	D	+				+	+	
10.	საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	D	+					+	
11.	სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა	D	+		+		+	+	
12.	ეკონომიქსი	D	+				+	+	
13.	პრაქტიკული კლინიკა	P						+	+
14.	სამაგისტრო ნაშრომი	M	+	+		+	+		+

კურსის სტატუსი

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

№	საგანი	სწავლის შედეგები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
	საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	საჯარო მმართველობა და სამოხელეო სამართალი	+	+	
2.	საქართველოს სახელმწიფო მოწყობა	+	+	
3.	ადმინისტრაციული წარმოება	+	+	+
4.	ადგილობრივი თვითმმართველობა	+	+	
5.	აკადემიური წერა	+	+	+
6.	ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში	+	+	+
7.	კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში	+	+	+
8.	საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები	+	+	+
9.	საჯარო ფინანსების მართვა	+	+	
10.	საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	+	+	
11.	სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა	+	+	+
12.	ეკონომიქსი	+	+	
	არჩევითი სასწავლო კურსები			
13.	ელექტრონული მმართველობა	+	+	+
14.	ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ევროინტეგრაცია	+	+	+
15.	საჯარო მმართველობის კონტროლის მექანიზმები	+	+	+
16.	ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურში	+	+	
17.	საზოგადოებასთან ურთიერთობა	+	+	
18.	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი	+	+	
19.	საჯარო და კერძო თანამშრომლობა	+	+	
20.	პროექტ მენეჯმენტი	+	+	+
21.	დასაქმების პოლიტიკა და შრომის ბაზარი	+	+	+
22.	რეგულირების ზეგავლენის შეფასება	+	+	
23.	გადასახადები და მოსაკრებლები	+	+	
24.	სახელმწიფო შესყიდვების სამართალი	+	+	+
25.	ლიცენზიები და ნებართვები	+	+	
26.	სტატისტიკა საჯარო სამსახურში	+	+	
27.	მდგრადი განვითარება: მიზნები და გამოწვევები	+	+	
28.	გარემოსდაცვითი მენეჯმენტი	+	+	
29.	ევრო-ატლანტიკური ორგანიზაციები	+	+	+
30.	საჯარო მმართველობა და ქვეყნის ანტიკორუფციული პოლიტიკა	+	+	+

31.	შედარებითი საჯარო მმართველობა	+	+	+
32.	პრივატიზების სამართალი	+	+	+
33.	ეკონომიკური პოლიტიკა	+	+	+
34.	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანიზება	+	+	
35.	სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა, ტერიტორიული კონფლიქტები და საქართველო	+	+	
36.	ეკლესია და სახელმწიფო	+	+	
	პრაქტიკული კომპონენტები			
34.	პრაქტიკული კლინიკა	+	+	+
35.	საჯარო მმართველობის პრაქტიკა	+	+	+
	კვლევითი კომპონენტები			
36	სამაგისტრო ნაშრომი	+	+	+